RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ომი, ცენზურა და საზოგადოებრივი აზრი რუსეთში: პუტინის ბრძოლა შინ და გარეთ

ეკა ჯავახიშვილი

180

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ეკა ჯავახიშვილი

ომი, ცენზურა და საზოგადოებრივი აზრი რუსეთში: პუტინის ბრძოლა შინ და გარეთ

180

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

შესავალი

რუსეთის „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, როგორც კრემლი უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომს უწოდებს, უკვე მეორე თვეა სრული მასშტაბით მიმდინარეობს. თუმცა, რუსულმა არმიამ ისე ეფექტურად ვერ გაართვა თავი საბრძოლო ამოცანებს, როგორც ეს კრემლის მესვეურებს თავდაპირველად ჰქონდათ დაგეგმილი. უკრაინელი ერის წარმოუდგენელმა შეუპოვრობამ და სიმამაცემ მსოფლიო აღაფრთოვანა, პუტინის რეჟიმს კი დამატებითი თავსატეხი გაუჩინა. გარდა იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებას ოფიციალურად დეკლარირებული სამხედრო მიზნების რადიკალურად შეცვლა მოუწია, ქვეყნის შიგნით ვითარებაზე კონტროლის შესანარჩუნებლად ზომების გამკაცრების აუცილებლობის წინაშეც დადგა. ამ ეტაპზე, პუტინის იმპერიალისტური ამბიციების სისრულეში მოსაყვანად, კრემლს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა უწევს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

უკრაინაზე თავდასხმის პარალელურად, პუტინის ავტორიტარული რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა, გაძლიერდა რეპრესიები კრიტიკულად განწყობილი საზოგადოების მიმართ და გაფართოვდა საინფორმაციო სივრცის ცენზურა. ქვეყნის შიგნით ვითარების გასაკონტროლებლად, კრემლი ტრადიციულად მიმართავს ხისტი და რბილი ძალის კომპლექსურ კომბინაციას, რაც გამოიხატება ოპონენტების ძალადობრივ დევნაში, დაშინებასა და ანგარიშსწორებაში, თავისუფალი აზრის გამოხატვის შეზღუდვაში, მედიაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებასა თუ ნაციონალისტური იდეოლოგიითა და კულტურული ღირებულებებით მანიპულირებაში.

ჯერ კიდევ უკრაინაში შეჭრამდე კრემლმა უკრაინისა და დასავლეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი და მასშტაბური პროპაგანდისტული კამპანია აწარმოვა. ომის დაწყების შემდეგ კი რუსული სახელმწიფო მედიის მიერ გავრცელებულმა ყალბმა საინფორმაციო ნაკადმა უპრეცედენტო მასშტაბები შეიძინა. რუსეთის ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ ქვეყანაში რეალური ინფორმაციის გავრცელების შესაკავებლად და დამოუკიდებელი მედიის შესაზღუდად. ომის დაწყებისთანავე სახელმწიფო უწყებებმა დაბლოკეს დასავლურ სოციალურ ქსელებზე წვდომა და არაერთი საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებების ვებგვერდი, გამკაცრდა კანონმდებლობის რიგი მუხლები, რათა რუსეთის მოქალაქეებამდე მაქსიმალურად გაფილტრულმა ინფორმაციამ მიაღწიოს.

აღსანიშნავია, რომ კრემლის ოფიციალური წარმომადგენლები ხშირად იშველიებენ რუსული საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებს, ხელისუფლების მომხრეთა პოზიციების გასაძლიერებლად. თუმცა, ქვეყანაში არსებული რეპრესიული გარემოს გათვალისწინებით, რუსულ საზოგადოებაში არსებული რეალური განწყობების ამსახველი მონაცემები პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია.

რუსეთში აღარც ომის საწინააღმდეგო ხმამაღალი მოწოდებები ისმის და არც მასობრივი საპროტესტო მოძრაობის პერსპექტივა იკვეთება. კრემლში გადაწყვეტილების მიმღებთა ვიწრო წრე, რომელიც ძირითადად საიდუმლო

სამსახურებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს აერთიანებს, ასევე კრიტიკის გარეშე იზიარებს პუტინის იმპერიულ ზრახვებს. რუსეთის პოლიტიკური და ბიზნესელიტის წარმომადგენლები ვერ ბედავენ პუტინის ავანტიურის საჯარო კრიტიკას და მხოლოდ ცალკეული ზომიერი განცხადებებით შემოიფარგლებიან. მათი უმრავლესობის დუმილი კი ხელს უწყობს დიქტატორის პოზიციების სტაბილურობას ქვეყნის შიგნით.

„ექსტრემისტული“ სოციალური ქსელები, *აკრძალული დამოუკიდებელი მედია* და *სახელმწიფო პროპაგანდა*

უკანასკნელი ოცწლეულის განმავლობაში, პუტინის მმართველობის პერიოდში, რუსეთის ხელისუფლება მუდმივად ისწრაფვის სრული კონტროლის ქვეშ მოაქციოს ინფორმაციის ნაკადი, რასაც მოსახლეობა ტრადიციული მედიისა და ინტერნეტის საშუალებით იღებს. შესაბამისად, ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება თავისუფალ მედიაზე ზეწოლა და იზღუდება ინტერნეტრესურსებზე წვდომა. ინტერნეტის შესაძლებლობები კრემლმა საფრთხედ ჯერ კიდევ 2011 წელს შეაფასა, როდესაც გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების გასაპროტესტებლად გამართული აქციების დროს სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროტესტის მობილიზებასა და კოორდინაციაში. მოგვიანებით კრემლმა „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კანონი შეიმუშავა და კრიტიკული მედიასაშუალებები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ უცხოეთთან და საზღვარგარეთიდან ფინანსდებოდნენ, აიძულა მიეღოთ „უცხოეთის აგენტების“ სტატუსი. 2019 წელს ძალაში შევიდა „სუვერენული ინტერნეტის კანონი“ და ყველა ინტერნეტპროვაიდერი იძულებული გახდა რუსეთის ფედერაციის კომუნიკაციების მარეგულირებელი სამსახურის, „როსკომნადზორის“, მიერ შეთავაზებული ქსელის აღჭურვილობა დაეყენებინა, რომლის საშუალებითაც უწყება სრულად აკონტროლებს, თუ რა აქტივობას ეწევიან აბონენტები ინტერნეტში.

უკრაინაში შეჭრისთანავე კრემლის ამოცანებს შორის პრიორიტეტი მიენიჭა საინფორმაციო სივრცის მონიტორინგს, რათა მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი კრიტიკა და პროტესტი დასაწყისშივე აღკვეთილიყო. 24 თებერვალს, უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრის დღეს, „როსკომნადზორმა“ ქვეყანაში მოქმედი მედია დაავალდებულა, რომ დონბასში მიმდინარე „სპეცოპერაციის“ შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ოფიციალურ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით გაევრცელებინათ.[1]

მოგვიანებით, 4 მარტს, რუსეთის სახელმწიფო დუმამ მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რაც ითვალისწინებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ „არასანდო ამბების“ გავრცელებისთვის 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, ჯარიმას 700 ათასიდან 1.5 მილიონ რუბლამდე.[2] აიკრძალა უკრაინაში სამხედრო მოქმედებების „ომად“ მოხსენიება, კრემლმა მას „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ დაარქვა.

დაწესებული შეზღუდვების გამო უმსხვილესმა საერთაშორისო მედიასაშუალებებმა დროებით შეაჩერეს რუსეთში საქმიანობა, ზოგმა კი საერთოდ დატოვა ქვეყანა, მათ შორისაა: BBC, CNN, Deutsche Welle, Bloomberg, Radio Free

Europe, Voice of America და სხვა. „როსკომნადზორმა“ სხვადასხვა მიზეზით დახურა ან დაბლოკა რუსეთში მომუშავე დამოუკიდებელი და კრიტიკულად განწყობილი საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის, რადიოსადგური „Эхо Москвы“, რომელიც 1990 წლიდან მაუწყებლობდა რუსეთში, ასევე ტელევიზია „Дождь“, Meduza, Euronews-ის რუსულენოვანი საიტი და ა.შ. Amnesty International-ი ის პირველი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია იყო, რომლის რუსულენოვანი ვებგვერდი „როსკომნადზორმა“ დაბლოკა. ასევე დაიბლოკა საერთაშორისო საგამოძიებო ჟურნალისტიკის ვებგვერდი Bellingcat, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანის უფლებების დარღვევის მტკიცებულებების გამოვლენაზე.

კრემლის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადგილობრივი მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგ., „Новая газета“), რეპრესიების თავიდან ასაცილებლად, იძულებული გახდა წაეშალა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შესახებ გამოქვეყნებული მასალა და „სპეციალური სამხედრო ოპერაციით“ ჩაენაცვლებინა „ომი“ უკრაინაში. არსებული მონაცემებით, უკრაინაში შეჭრის პირველი ორი კვირის განმავლობაში რუსეთი, სულ ცოტა, 150-მა ჟურნალისტმა დატოვა.

მარტის დასაწყისიდან, ტრადიციულ მედიასაშუალებებთან ერთად, რუსეთის ხელისუფლებამ მოსახლეობას ეტაპობრივად შეუზღუდა დასავლურ სოციალურ ქსელებზე წვდომაც, სადაც შესაძლებელი იყო უკრაინაში მიმდინარე რეალური ამბების გაგება. მოულოდნელი არავისთვის ყოფილა რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყანაში Facebook და Instagram-ის ოფიციალურად აკრძალვის თაობაზე, თუმცა უჩვეულოა მიზეზი, რითაც კრემლმა დასავლური სოციალური ქსელების დაბლოკვა ახსნა – „ექსტრემიზმი“. 21 მარტს, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ კომპანია Meta Platforms Inc. (Facebook, Instagram, და WhatsApp-ის მფლობელი) ექსტრემისტულად ცნო. შედეგად, რუსეთის ტერიტორიაზე Meta-ს საქმიანობა აკრძალა.[3] აკრძალვის საფუძვლად დასახელდა ის ფაქტი, რომ Meta-მ დროებით შეცვალა პოლიტიკური აზრის გამოხატვის წესები და უკრაინაში შეჭრილი რუსული ჯარების წინააღმდეგ ძალადობრივი შინაარსის პოსტების გამოქვეყნება დასაშვებად მიიჩნია. თავად Meta-მ განმარტა, რომ რუსი სამხედროების წინააღმდეგ მიმართული პოსტები მხოლოდ უკრაინაში დაიშვებოდა, მხოლოდ უკრაინაში რუსეთის სამხედრო შეჭრის კონტექსტში და არა - რუსეთის რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ. კომპანიამ ასევე უარყო პრეზიდენტის მკვლელობის მოწოდებების ტირაჟირებაზე ნებართვის არსებობა, როგორც ამას რუსული მხარე ამტკიცებდა. საინტერესოა, რომ სასამართლოს აკრძალვა არ შეეხო იმავე კომპანიის კუთვნილ WhatsApp-ის აპლიკაციას, იმ მიზეზით, რომ ის კომუნიკაციის საშუალებაა და არა - ინფორმაციის წყარო.

დასავლური სოციალური ქსელების რუსეთში აკრძალვამდე თავად Facebook-მა შეზღუდა კრემლის პროპაგანდისტული მედიასაშუალებების აქტივობა (Russia Today, Sputnik). მაშინ „როსკომნადზორმა“ განაცხადა, რომ 2020 წლის ოქტომბრის შემდეგ Facebook-ის მიერ რუსული მედიის მიმართ დისკრიმინაციის 26 შემთხვევა გამოვლინდა, რაც „რუსეთის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების“ დარღვევაა და რის გამოც Facebook-ის ნაწილობრივი შეზღუდვა მოითხოვა.

დასავლურ პლატფორმებს შორის რუსეთში ყველაზე მოთხოვნადი YouTube ვიდეო ჰოსტინგი ჯერჯერობით მოქმედია და ხელისუფლების მიერ დაბლოკილმა მედიამ იქ გადაინაცვლა. თუმცა მის მიმართ გამაფრთხილებელი შეტყობინებები სულ უფრო ხშირდება. „როსკომნადზორი“ YouTube-ის ადმინისტრაციას „ტერორისტული ხასიათის“ ქმედებებში ჩართვისთვის საყვედურობს, რამაც შეიძლება „საფრთხე შეუქმნას რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“. იგულისხმება YouTube-ზე გავრცელებული სარეკლამო რგოლი, სადაც ისმის მოწოდებები რუსეთისა და ბელარუსის სარკინიგზო კომუნიკაციების მწყობრიდან გამოყვანის შესახებ.[4] მარეგულირებელი ასევე მოითხოვს, რომ YouTube-მა მოუხსნას დაწესებული შეზღუდვები რუსულ მედიარესურსებს (RBC, NTV, TNT, REN TV და სხვ.).[5]

პარალელურად, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, დასავლური აპლიკაციები ადგილობრივი ანალოგებით ჩაანაცვლოს და მოსახლეობა რუსული სოციალური მედიისა და მესენჯერის სერვისებზე გადაიყვანოს (ВКонтакте, Одноклассники, Instagram-ის რუსული კლონი Россграм). ეს პლატფორმები კი კანონით ვალდებული არიან, ქვეყნის საიდუმლო სამსახურებთან ითანამშრომლონ. შესაბამისად, კრემლს მათი მომხმარებლების აქტივობის გაკონტროლება კიდევ უფრო გაუმარტივდება.

„როსკომნადზორმა” დაბლოკა ასევე სოციალური ქსელი Twitter-ი და ჯარიმებით ემუქრება ინტერნეტენციკლოპედია Wikipedia-ს.[6] მარეგულირებელი უწყება მოითხოვს, რომ Wikipedia-მ დაუყოვნებლივ წაშალოს „არასანდო ინფორმაცია“ უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული ძალების „სპეციალური სამხედრო ოპერაციის» თემაზე, რომელიც მათი შეფასებით, მიზნად ისახავს რუსეთის მომხმარებლებისთვის დეზინფორმაციის მიწოდებას. როგორც „როსკომნადზორი“ აცხადებს, თუ მსგავსი კანონსაწინააღმდეგო მასალები დადგენილ ვადაში არ წაიშლება, საიტის მფლობელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ემუქრება, რაც 4 მილიონ რუბლამდე (დაახლ. 50 000 აშშ დოლარით) ჯარიმას ითვალისწინებს.



წყარო: **Eurasia Barometer wave 3** (2021 წლის ნოემბერი); n=1509 უკრაინაში, 1205 რუსეთში. ორივე ქვეყანაში რესპონდენტთა დაახლოებით 16%-მა აღნიშნა, რომ არასოდეს გამოუყენებია სოციალური ქსელები, მათ შორის ინტერნეტზე წვდომის არქონის გამო.

გამკაცრებული ონლაინცენზურის გამო რუსეთში VPN-ის (Virtual Private Networks) მომხმარებელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ეს არის დაშიფვრის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებლის უნიკალურ IP მისამართს

ცვლის, მალავს ლოკაციას და შესაბამისად, დაბლოკილ საიტებზე წვდომას შესაძლებელს ხდის. მონიტორინგის კომპანია „Top10VPN“-ის მონაცემებით, დასავლური სოციალური ქსელების დაბლოკვის შემდეგ VPN-ებზე დღიური მოთხოვნა 2000 პროცენტით გაიზარდა.[7] 15 მარტს კრემლმა აკრძალა 20 პოპულარული VPN სერვისის გამოყენება, თუმცა მოსახლეობას ჯერ კიდევ მიუწვდება ხელი ათეულობით ალტერნატივაზე.

კომპანია „Top10VPN“-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 24 თებერვლის შემდეგ ე.წ. სამხედრო ცენზურას დაექვემდებარა 741-ზე მეტი დომენი და აკრძალული საიტების სია ყოველდღიურად იზრდება.[8]

სატელევიზიო პროპაგანდა

სანამ უკრაინაში ომი მიმდინარეობს, რუსეთში ბევრი ადამიანი ისმენს და ხედავს სრულიად განსხვავებულ ნარატივს ტელევიზიების საშუალებით. დეზინფორმაციის დიდი ნაწილი მოდის სახელმწიფო მედიიდან, დამოუკიდებელი ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეტაპობრივად მიუწვდომელი ხდება. ამ მოვლენებამდეც კი, 2021 წელს, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ ანგარიშის მიხედვით, რუსეთი 150-ე ადგილს იკავებდა მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, პრესის თავისუფლების მიხედვით. [9]

რუსების უმრავლესობისთვის ინფორმაციის უმთავრეს წყაროს ჯერ კიდევ წარმოადგენს ტელევიზია. სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ საშუალოდ, რუსეთის მოსახლეობის 63% სახელმწიფო არხებიდან იღებს ცნობებს ომის შესახებ, ხოლო მათი უმრავლესობა, ვინც სატელევიზიო სიახლეებს ეცნობა, სრულიად ენდობა მიღებულ ინფორმაციას.



რა ინფორმაციას იღებს რუსეთის რიგითი მოქალაქე სახელმწიფო ტელევიზიებიდან? რეალობასთან სრულიად შეუსაბამო დეზინფორმაციას – თითქოს ომი მხოლოდ უკრაინის აღმოსავლეთით, დონბასის რეგიონში, მიმდინარეობს, სადაც რუს „განმათავისუფლებელ“ ჯარისკაცებს სიხარულით ხვდებიან, თითქოს უკრაინის არმია თავად ბომბავს საკუთარ ქალაქებს, „ცრუ დროშის“ ოპერაციებში

პუტინის დასადანაშაულებლად, თითქოს რუსი ჯარისკაცები არ ერჩიან სამოქალაქო პირებს და ეს მაშინ, როცა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ რუსი აგრესორების სისასტიკემ მსოფლიო შეძრა. თვალსაჩინო მაგალითისთვის, უკრაინის ქ. ბუჩაში რუსი ოკუპანტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობის ფაქტებიც საკმარისია, რის უარსაყოფადაც რუსეთმა სახელმწიფო პროპაგანდისტული მანქანა სრული დატვირთვით აამუშავა. მიუხედავად უამრავი უტყუარი ფოტო და ვიდეომტკიცებულებისა, კრემლმა „ინსცენირებული“ და „ფეიკი“ უწოდა ბუჩაში რუსების ჩადენილ ომის დანაშაულებს. რუსეთის ფედერალურ ტელევიზიებში, კრემლის პროპაგანდისტები ბუჩაში დატრიალებულ ტრაგედიას დასავლეთისა და უკრაინის მიერ მოწყობილ პროვოკაციას უწოდებენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ასევე უარყო რუსი ჯარისკაცების ჩადენილი სასტიკი ქმედებები და განაცხადა, რომ არცერთი ადგილობრივი არ გამხდარა ძალადობრივი ქმედებების მსხვერპლი, სანამ რუსეთი იკავებდა ქალაქს.[10] უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის რუსეთის ხელისუფლება ბუჩის მოვლენებზე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევასაც ითხოვდა.

რუსული სახელმწიფო მედია და კრემლის პროპაგანდისტები რეგულარულად ეწევიან უკრაინის დისკრედიტაციას, წარმოაჩენენ მას როგორც რუსოფობულ სახელმწიფოს, რომელსაც „ნაცისტური რეჟიმი“ მართავს, მუდმივად იმეორებენ მოწოდებას, რომ ქვეყანას „დენაციფიკაცია“ და „დემილიტარიზაცია“ სჭირდება. კრემლის დაქირავებული „ექსპერტები“ ასევე ახდენენ დასავლეთისა და ნატოს დემონიზებას, თითქოს მათი მიზანია სრულიად რუსი ერის განადგურება. მსგავსი პროპაგანდა და დარწმუნების ტექნიკა, როგორც ჩანს, კრემლმა წარმატებით გამოიყენა, რათა მოეხდინა საზოგადოების მობილიზება პუტინის, როგორც უალტერნატივო ლიდერის, ირგვლივ. „ევრაზიის ბარომეტრის“ კვლევის თანახმად, გამოიკვეთა კორელაცია ახალი ამბების წყაროებსა და პოლიტიკურ დამოკიდებულებებს შორის: ყოველდღიური ინფორმაციის ტელევიზიით მიღება პუტინისადმი ნდობის ზრდაში აისახებოდა, ხოლო ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენება, პირიქით, პუტინისადმი ნდობის შემცირებაში.

კრემლის მიერ წარმოებული მასშტაბური პროპაგანდის წყალობით, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა შედეგები ვლადიმერ პუტინის რეიტინგის უპრეცედენტო ზრდაზე მიუთითებენ, ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილი მხარდაჭერას უცხადებს უკრაინაში რუსეთის „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“. ამ მონაცემებს დიდი სიფრთხილით უნდა ინტერპრეტირება, რადგან ისინი საზოგადოებაში არსებულ რეალურ განწყობებს სრულყოფილად არ ასახავენ.

საზოგადოებრივი განწყობა უკრაინაში შეჭრამდე და შემდეგ

ჯერ კიდევ 24 თებერვლამდე, სანამ რუსეთი უკრაინაში შეიჭრებოდა, რუსული საზოგადოებრივი აზრის კვლევები ცხადყოფდა, რომ რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა (საშუალოდ, 60%), მხარს უჭერდა „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყებას უკრაინაში. მიუხედავად იმისა, კვლევები კრემლისადმი ლოიალურმა

კომპანიებმა თუ დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს, ყველა მათგანმა დაახლოებით ერთნაირი შედეგები მიიღო:

- რუსეთში მოქმედი ყველაზე მსხვილი სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაციების ВЦИОМ (Всероссийский центр изучения общественного мнения) და ФОМ (Фонд Общественное Мнение) 25-27 თებერვლის გამოკითხვებში უკრაინაში „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ძლიერი მხარდაჭერა დაფიქსირდა (68% და 65%). ამ კომპანიების კვლევის შედეგებს ხშირად იშველიებენ რუსეთის ოფიციალური პირები, რადგან ВЦИОМ 100%-ით სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიაა, ФОМ-ის მთავარი დამკვეთი კი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაა;
- ორგანიზაცია Russian Field-ის (კერძო კვლევითი სააგენტო) 26-28 თებერვლის გამოკითხვის შედეგებით, 59%-მა მხარი დაუჭირა „რუსეთის სამხედრო მოქმედებას უკრაინაში“;
- CNN-ისთვის ბრიტანული სააგენტო Savanta ComRes-ის მიერ რუსეთში 7-15 თებერვალს ჩატარებული გამოკითხვით, რესპონდენტთა ნახევარი (50%) ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ „სწორი იქნება, თუ მოსკოვი გამოიყენებს სამხედრო ძალას კიევის ნატოში გაწევრიანების თავიდან ასაცილებლად“;
- დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაცია Левада-центр-ის (რომელიც უცხოური დაფინანსების გამო კრემლის „უცხოეთის აგენტების“ რეესტრშია შეყვანილი) 17-21 თებერვლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (52%) უარყოფითად იყო უკრაინის მიმართ განწყობილი. უმეტესობა (60%) ადანაშაულებდა აშშ-სა და ნატოს აღმოსავლეთ უკრაინაში დაძაბულობის ესკალაციაში, ხოლო პირადად ვლადიმერ პუტინის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა 2021 წლის დეკემბრის შემდეგ 13 პროცენტით იყო გაზრდილი (71%);

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თებერვლის ბოლოს ომის დასაწყებად კრემლს ნიადაგი უკვე კარგად ჰქონდა მომზადებული. რა შეიცვალა ომის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ? „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მხარდაჭერა ისევე, როგორც პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი, კიდევ უფრო გაიზარდა. მარტის ბოლო კვირას ჩატარებული კვლევების მონაცემებით, პუტინს ბოლო ხუთ წელიწადში ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს (ВЦИОМ – 81%), ხოლო პრეზიდენტის საქმიანობას დადებითად აფასებს რესპონდენტთა, საშუალოდ, 80% (Левада-центр-83%, ВЦИОМ – 79%).[11] ВЦИОМ-ის მიხედვით, უკრაინაში „სპეცოპერაციის“ ჩატარების გადაწყვეტილებას რუსეთის მოქალაქეების 76% მხარს უჭერს, რაც 25 თებერვლის შემდეგ 11%-ით არის მომატებული. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იწონებს ФОМ-ის რესპონდენტთა 73%, რაც 8%-ით აღემატება თებერვლის შედეგებს.[12] გარდა ამისა, Левада-центр-ის მიერ გამოკითხული რუსების 69% (თებერვლის გამოკითხვასთან შედარებით 17%-ით მეტი) ფიქრობს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება.

ВЦИОМ-ის თანახმად, „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიზნების შესახებ გამოკითხულთა შეფასებები უცვლელი რჩება ბოლო სამი კვირის განმავლობაში – მათგან უმთავრესად სახელდება რუსეთის დაცვა, უკრაინის

დემილიტარიზაცია და მის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზების განლაგების პრევენცია (გამოკითხულთა 42%).[13] ანალოგიურ მიზნებს ФОМ-ის რესპონდენტთა 71% ასახელებს.

კრემლში კარგად აცნობიერებენ, რომ უკრაინასთან ომის შესახებ რეალურ ინფორმაციას რუსეთში მასობრივი პროტესტის პროვოცირება შეუძლია, ამიტომ ამ ომს ასაღებენ არა როგორც ბრძოლას უკრაინელი ხალხის, არამედ ნატოს ძალებისა და „ნაცისტების" წინააღმდეგ. პუტინმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ უკრაინული შენაერთები, რომლებიც ებრძვიან რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, არა რეგულარული ჯარები, არამედ ნეონაცისტური ფორმირებები არიან.[14] საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნულ გამოკითხვებში „სპეცოპერაციის" მთავარ მიზნად მოსახლეობა სწორედ იმ ძირითად მესიჯებს ასახელებს, რასაც კრემლის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში საინფორმაციო საშუალებებში იმეორებენ – რუსეთის დაცვა, უკრაინის დემილიტარიზაცია და მის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზების განლაგების პრევენცია.

რაზე მეტყველებს გამოკითხვის შედეგები?

რაზე მეტყველებს იმ საზოგადოების გამოკითხვის შედეგები, სადაც ქვეყნის სათავეში რეპრესიული რეჟიმია, პოლიტიკური ოპოზიცია ფაქტობრივად არ არსებობს, სიტყვისა და მედიის თავისუფლება კი მაქსიმალურადაა შეზღუდული? როგორც სოციოლოგები აღნიშნავენ, რუსეთში არსებული რეპრესიული გარემოს გათვალისწინებით, ომის მხარდაჭერის შესახებ ციფრები რეალობას სრულყოფილად არ ასახავს, რადგან უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობას საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოხატვის ეშინია.

მოცემული შედეგები მიუთითებს, თუ რამდენად პრობლემურია ავტორიტარულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, განსაკუთრებით, ომის მდგომარეობაში ყოფნის დროს. ომის დროს, საზოგადოებრივი დისკურსი ყალიბდება ძლიერი ემოციებით და პოლარიზებულია. ავტოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებას რესპონდენტები ყოველთვის ღიად არ გამოხატავენ, რეპრესიების შიშით, და ურჩევნიათ გასცენ ისეთი პასუხები, რომლებიც ოფიციალური მთავრობის პოზიციას შეესაბამება.

რუსი სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ როდესაც მოქალაქეებს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ეშინიათ, ინტერვიუერებს არ ენდობიან და ხელისუფლების „აგენტებად" აღიქვამენ, ისინი ხშირად აცხადებენ უარს კვლევაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, რეჟიმის კრიტიკოსები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში, რაც კვლევის საბოლოო შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე კითხვების ფორმულირებას, მაგალითად, „სპეციალურ სამხედრო ოპერაციაზე" დასვამს კითხვას ინტერვიუერი თუ უკრაინასთან „ომზე". ეს ფორმულირება ირიბად უბიძგებს რესპონდენტს მიკერძოებული პასუხისკენ, რადგან ყველამ იცის, ვის ეკუთვნის ტერმინი „სპეციალური სამხედრო ოპერაცია". ამასთანავე, პუტინის გადაწყვეტილებების

მხარდაჭერა არ ნიშნავს „სპეციალური სამხედრო ოპერაციის» უპირობო მხარდაჭერას, მაგრამ ВЦИОМ და ФОМ ერთ შეკითხვაში – მხარს უჭერთ თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების თაობაზე? – ოსტატურად უბიძგებენ რესპონდენტს, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერებმა თანხმობა დააფიქსირონ სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე. შესაბამისად, ეს კითხვა აერთიანებს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა პასუხებიც ხელისუფლების მხარდაჭერის სასარგებლოდ დაჯამდება.

კვლევები აჩვენებს, რომ რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება პუტინის რეჟიმის მიმართ მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით, რასაც ისინი საზოგადოებაში გაბატონებულ კონსენსუსად თვლიან. მთავრობის მხარდაჭერის გამომხატველი „გაბერილი“ ციფრები კიდევ უფრო აღრმავებენ სოციალური მიკერძოებულობის ეფექტს და რეჟიმის კრიტიკოსებს აგრძნობინებენ, რომ ისინი უმცირესობაში არიან. ეს ასევე უბიძგებს ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული აზრი, დაიკავონ უმრავლესობის, ანუ, ამ შემთხვევაში, მთავრობის მხარდამჭერთა პოზიცია.

საზოგადოების საპროტესტო განწყობა

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიას არ მოჰყოლია ქვეყნის შიგნით ფართომასშტაბიანი პროტესტი, ხოლო ის მცირე დემონსტრაციები, რაც ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ქალაქში გაიმართა, პოლიციამ მკაცრად აღკვეთა. როგორც წესი, ძალოვანი უწყებები რუსეთის მოქალაქეებს აშინებენ და ხელს უშლიან პროტესტის გამოხატვაში. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა და გენერალურმა პროკურატურამ მოქალაქეები არაერთგზის გააფრთხილეს არასანქცირებულ დემონსტრაციებში მონაწილეობისთვის მოსალოდნელი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. დამოუკიდებელი უფლებადამცველი მედიაპროექტი „OVD-Info“ იუწყება, რომ 24 თებერვლიდან 6 აპრილამდე პერიოდში, ომის წინააღმდეგ პროტესტის გამო, პოლიციამ 15409 ადამიანი დააკავა, მათ შორის - 170-ზე მეტი არასრულწლოვანი. აქციის მონაწილეებს უმეტეს შემთხვევაში ბრალად ედებათ რუსეთის შეიარაღებული ძალების ქმედებების დისკრედიტაცია და საზოგადოებრივი თავშეყრის შესახებ კანონის დარღვევა.[15]

რაც შეეხება საპროტესტო განწყობის გაზომვას ციფრებით, ეს საკითხი ისევე ტენდენციურია, როგორც სხვა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში. ВЦИОМ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 17 მარტის მდგომარეობით, რუსების მხოლოდ 18 პროცენტს მიაჩნია, რომ მათ რაიონში შესაძლებელია მასობრივი საპროტესტო აქციის გამართვა, თუმცა ასეთის შემთხვევაში, გამოკითხულთა 85% არ აპირებს მასში მონაწილეობის მიღებას.[16] ФОМ-ის 20 მარტის მონაცემებით, ანალოგიურად, რესპონდენტთა 77% არ გამოხატავს დემონსტრაციებში მონაწილეობის სურვილს.[17] რაც შეეხება Левада-центр-ის მონაცემებს, მათი უახლესი გამოკითხვა შეეხო უკვე ჩატარებულ ანტისაომარ საპროტესტო აქციებს, სადაც გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ფაქტორი: ამ აქციების შესახებ რესპონდენტთა 41%-ს არც კი სმენია, მათი უმეტესობისთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზია და პრესაა,

ხოლო ყველაზე ინფორმირებულებს შორის ახალგაზრდები (18-24 წელი) ჭარბობენ, ვისთვისაც ყოველდღიურ ინფორმაციის წყაროს Telegram-არხები წარმოადგენენ.[18]

ახალგაზრდა თაობა არის სწორედ ის პოტენციური საპროტესტო ძალა, რამაც შეიძლება მომავალში შეარყიოს პუტინის პოზიციები. როგორც არაერთი კვლევა ადასტურებს, პუტინის რეჟიმის მხარდაჭერა ყველაზე სწრაფად იკლებს ახალგაზრდა თაობაში, რომელიც აქტიურად იყენებს ინტერნეტსა და უცხოურ სოციალურ მედიას. შესაბამისად, სოციალური ქსელებისა და ინტერნეტრესურსების შეზღუდვა დიდწილად ახალგაზრდების „სახიფათო" სენტიმენტებსაც უკავშირდება.

მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში, საზოგადოებრივ განწყობაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დასავლეთის ეკონომიკური სანქციების ეფექტი, რაც ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად საგრძნობი. მაკროეკონომიკური პროგნოზებით, 2022 წელს რუსეთის ეკონომიკას ღრმა რეცესია ელის, ივარაუდება ქვეყნის მშპ-ის შემცირება 10%-ით, ხოლო ინფლაციის ზრდა – 20%-ზე მეტით. ეს კი აუცილებლად აისახება რუსეთის რიგითი მოქალაქის შემოსავლებსა და სოციალურ მდგომარეობაზე და მათ დამოკიდებულებაზე ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმართ.

დასკვნა

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება დამოუკიდებელი მედიის ცენზურისა და სოციალური ქსელების დაბლოკვის შესახებ კიდევ ერთი ნაბიჯია საზოგადოების ტოტალური საინფორმაციო ბლოკადისკენ. კრემლი ცდილობს, მინიმუმამდე შეამციროს კომუნიკაციის არხები, რომლებიც სახელმწიფო ნარატივის საწინააღმდეგოდ მუშაობენ და მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ხელისუფლების სასარგებლოდ ფორმირება. „ციფრული ფარდის" მიღმა კი ყოველდღიურად იმსხვრევა რუსეთის არმიის უძლეველობის მითი, სულ უფრო მზარდია სამხედრო დანაკარგები, უკრაინის ხელისუფლების დასჯისა და დამორჩილების გეგმა კი კრახს განიცდის. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ქვეყნის გარეთ ომს აგებს, თუმცა იგებს ქვეყნის შიგნით, საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ წარმოებულ „სპეცოპერაციას". მოსალოდნელია, რომ ბოლო ოცწლეულის განმავლობაში აშენებული რეჟიმის შესანარჩუნებლად კრემლი კიდევ უფრო გააძლიერებს კონტროლის ბერკეტებს. თუმცა, რეპრესიები და საინფორმაციო ბლოკადა, როგორც პუტინის რეჟიმის სტაბილიზაციის მექანიზმი, შესაძლოა, გრძელვადიან პერსპექტივაში კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს.

შენიშვნები

1. “РКН рекомендовал СМИ освещать спецоперацию в Донбассе по данным официальных источников РФ”, February 24, 2022, https://www.interfax.ru/russia/824177.
2. “Вводится ответственность за распространение фейков о действиях ВС РФ”, March 4, 2022, http://duma.gov.ru/news/53620/.
3. “В России признали экстремистской организацией владельца Facebook и Instagram”, March 21, 2022, https://lenta.ru/news/2022/03/21/metaextr/.
4. “Роскомнадзор требует прекратить распространение угроз в адрес граждан Российской Федерации”, March 18, 2022, https://rkn.gov.ru/news/rsoc/news74196.htm.
5. “О многочисленных нарушениях со стороны видеохостинга YouTube в отношении российских СМИ”, March 19, 2022, https://rkn.gov.ru/news/rsoc/news74204.htm.
6. “‘Википедии’ грозит штраф до 4 млн руб. из-за статьи о спецоперации на Украине”, March 31, 2022, https://www.interfax.ru/digital/832481.
7. Simon Migliano, “List of Websites Blocked in Russia Since Ukraine Invasion”, April 4, 2022, https://www.top10vpn.com/research/websites-blocked-in-russia/.
8. “Websites Blocked in Russia Since Ukraine Invasion”, n.d., accessed April 7, 2022, https://docs.google.com/spreadsheets/d/1KN3isOEE7A4vBL9-QbEd-gQUgYcg4Hn50pKHJ75SS-A/edit#gid=0.
9. Reporters without borders, “Russia | RSF”, n.d., accessed April 7, 2022, https://rsf.org/en/russia.
10. “Минобороны назвало кадры из Бучи постановкой Киева для западных СМИ”, April 3, 2022, https://ria.ru/20220403/minoborony-1781557525.html.
11. “Индикаторы — Левада-Центр”, n.d., accessed April 7, 2022, https://www.levada.ru/indikatory/.
12. “Украина. Опрос 20 марта / ФОМ”, March 28, 2022, https://fom.ru/Politika/14706.
13. “Специальная военная операция: мониторинг”, n.d., accessed March 30, 2022, https://wciom.ru/analytical-reviews/analiticheskii-obzor/cpecialnaja-voennaja-operacija-monitoring-20220330 .
14. “Путин заявил, что российские войска воюют на Украине с неонацистами”, March 3, 2022, https://www.interfax.ru/russia/826103.
15. “Нет войне.Как российские власти борются с антивоенными протестами”, n.d., accessed April 7, 2022, https://reports.ovdinfo.org/no-to-war#1.
16. “Специальная военная операция: мониторинг”, March 23, 2022, https://wciom.ru/analytical-reviews/analiticheskii-obzor/specialnaja-voennaja-operacija-monitoring .
17. “Протестные настроения”, April 1, 2022, https://fom.ru/obshchestvo/11090 .
18. “Протестные Акции”, April 4, 2022, https://www.levada.ru/2022/04/04/protestnye-aktsii-2/.

ბიბლიოგრაფია:

- “Вводится ответственность за распространение фейков о действиях ВС РФ.” Государственная Дума, March 4, 2022. http://duma.gov.ru/news/53620/.
- “РКН рекомендовал СМИ освещать спецоперацию в Донбассе по данным официальных источников РФ - Interfax.ru.” Accessed April 6, 2022. https://www.interfax.ru/russia/824177.
- Migliano, Simon. “List of Websites Blocked in Russia since Ukraine Invasion.” Top10VPN, April 4, 2022. https://www.top10vpn.com/research/websites-blocked-in-russia/.
- “Russia Blocked Sites Data Sheet.” Google Sheets. Google. Accessed April 6, 2022. https://docs.google.com/spreadsheets/d/1KN3isOEE7A4vBL9-QbEd-gQUgYcg4Hn50pKHJ75SS-A/edit#gid=0.
- “О многочисленных нарушениях со стороны видеохостинга YouTube в отношении российских СМИ.” Rkn.gov.ru. Роскомнадзор, March 19, 2022. https://rkn.gov.ru/news/rsoc/news74204.htm.
- “Роскомнадзор требует прекратить распространение угроз в адрес граждан Российской Федерации.” Rkn.gov.ru. Роскомнадзор , March 18, 2022. https://rkn.gov.ru/news/rsoc/news74196.htm.
- “Russia: Stifling Atmosphere for Independent Journalists: Reporters without Borders.” RSF. Accessed April 7, 2022. https://rsf.org/en/russia.
- Kizlova, Kseniya, and Pippa Norris. “What Do Ordinary Russians Really Think about the War?” Social Europe, March 21, 2022. https://socialeurope.eu/what-do-ordinary-russians-really-think-about-the-war.
- Alyukov, Maxim. “In Russia, Opinion Polls Are a Political Weapon.” openDemocracy, March 9, 2022. https://www.opendemocracy.net/en/odr/russia-opinion-polls-war-ukraine/.
- Bessudnov, Alexey. “Russia’s Tricky Opinion Polling: How to Read the Kremlin’s Survey Data on Support for the War in Ukraine.” NYU Jordan Center, March 8, 2022. https://jordanrussiacenter.org/news/russias-tricky-opinion-polling-sociologist-alexey-bessudnov-shares-five-charts-that-help-explain-how-to-read-the-kremlins-survey-data-on-support-for-the-war-in-ukraine/.
- Yaffa, Joshua. “Why Do so Many Russians Say They Support the War in Ukraine?” The New Yorker, March 29, 2022. https://www.newyorker.com/news/news-desk/why-do-so-many-russians-say-they-support-the-war-in-ukraine.
- Troianovski, Anton, Ivan Nechepurenko, and Valeriya Safronova. “Shaken at First, Many Russians Now Rally behind Putin’s Invasion.” The New York Times. The New York Times, April 1, 2022. https://www.nytimes.com/2022/04/01/world/europe/russia-putin-support-ukraine.html.
- Kirillova, Kseniya. “Putin Is Losing the War, but Russians Have Stockholm Syndrome.” Jamestown, March 10, 2022. https://jamestown.org/program/putin-is-losing-the-war-but-russians-have-stockholm-syndrome/.
- “Нет войне.” ОВД-Инфо. Accessed April 6, 2022. https://reports.ovdinfo.org/no-to-war#9-4.
- “Путин заявил, что российские войска воюют на Украине с неонацистами- Interfax.ru,” March 3, 2022. https://www.interfax.ru/russia/826103.
- РИА Новости. “Минобороны назвало кадры из Бучи постановкой Киева для западных СМИ.” РИА Новости, April 3, 2022. https://ria.ru/20220403/minoborony-1781557525.html.
- “Специальная военная операция: мониторинг.” ВЦИОМ. Новости, March 30, 2022. https://wciom.ru/analytical-reviews/analiticheskii-obzor/cpecialnaja-voennaja-operacija-monitoring-20220330.

- “Рейтинги доверия политикам, оценки работы президента и правительства, поддержка политических партий.” ВЦИОМ. Новости, April 1, 2022. https://wciom.ru/analytical-reviews/analiticheskii-obzor/reitingi-doverija-politikam-ocenki-raboty-prezidenta-i-pravitelstva-podderzhka-politicheskikh-partii-20220401.
- “Украина. Опрос 20 Марта / ФОМ.” ФОМ MEDIA, March 28, 2022. https://fom.ru/Politika/14706.
- “Индикаторы.” levada.ru. Accessed April 6, 2022. https://www.levada.ru/indikatory/.
- “Протестные Акции.” levada.ru, April 4, 2022. https://www.levada.ru/2022/04/04/protestnye-aktsii-2/.